ემოციური დეპრივაციისა და მიტოვება/არასტაბილურობის სქემების გავლენა რომანტიკული ურთიერთობით კმაყოფილებაზე

ვიქტორია ჯიქია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვიქტორია ჯიქია, 2020 წელი

Abstract

Issue: Maltreatment in childhood from family members impacts on interpersonal problems later. There is a theory which is also related to relationships, this is Young's early maladaptive schemas. According to this theory, schemas are self-destructive, broad patern about oneself and one's relationships with others, which consists of memories, cognitions, emotions and sensations. It develops in childhood or adolescence, repeats throughtout life and is known as highly dysfunctional. Maladaptive schemas are related to depression, anxiety, interpersonal problems, emotional intelligence level, romantic relationship satisfaction. According to Young's theory there are 18 schemas, which contains 5 groups. There is emotional deprivation and abandonment/instability schema in first domain. If schema is activated in someone, he/she feels toxic frustration of needs. This frustration is the resalt of deprivations and deficits in childhood. It developed belief in someone that their needs of safety, stability and love will not be met. It's interesting the role of maladaptive schemas in Georgian population, because it's new issue for our culture.

Goal: The aim of this study is to find out how emotional deprivation and abandonment/instability schemas impact on the romantic relationship satisfaction.

Method: 210 people participated in quantitative research, 168 of them was female and 42 males. Instruments used in this research: Young Schema Questionnaire Long Form (YSQ-L3) and Relationship Assessment Scale (RAS).

Results: Emotional deprivation schema and abandonment/instability schema impacts on romantic relationship satiscaftion. Both of the schemas are in a negative correlation with romantic relationship satisfaction.

Keywords: Early maladaptive schemas, Emotional deprivation schema, Abandonment/instability schema, Romantic relationship satisfaction.

აბსტრაქტი

საკითხი: ბავშვობის ასაკში ოჯახის მხრიდან არასათანადო მზრუნველობა ზრდასრულ ასაკში იწვევს ინტერპერსონალურ პრობლემებს. ინტერპერსონალურ ურთიერთობებს ეხება იანგის თეორია ადრეული არაადაპტური სქემების შესახებ, რომლის მიხედვითაც სქემები თვითდამანგრეველი და ყოვლისმომცველი პატერნებია საკუთარ თავზე და სხვებთან ურთიერთობაზე, რომელიც შეიცავს მოგონებებს, ემოციებს, კოგნიციებსა და სხეულებრივი შეგრძნებებს. ის ვითარდება ბავშვობის ან მოზარდობის ასაკში, შემდეგ კი მეორდება მთელი ცხოვრების მანძილზე და დისფუნქციის მაღალი დონით გამოირჩევა. არაადაპტური სქემები კავშირშია დეპრესიასთან, შფოთვით აშლილობებთან, ინტერპერსონალურ პრობლემებთან, ემოციური ინტელექტის დონესთან, რომანტიკული ურთიერთობით კმაყოფილებასთან. იანგის თეორიის მიხედვით სულ 18 არაადაპტური სქემაა, რომლებიც 5 ჯგუფში ერთიანდება. პირველი ჯგუფის სქემებში, სხვებთან ერთად შედის ემოციური დეპრივაციის და მიტოვება/არასტაბილურობის სქემები, რომელთა გააქტიურების შემთხვევაში ადამიანები საჭიროებების ტოქსიკურ ფრუსტრაციას განიცდიან. ფრუსტრაცია გამომდინარეობს იმ დანაკლისებისა და დეფიციტებისგან, რომელიც მათ ბავშვობაში განუვითარდათ, ამან კი გაუმყარათ რწმენა რომ რომანტიკულ ურთიერთობებში მათი უსაფრთხოების, სტაბილურობის და სიყვარულის საჭიროებები არ იქნება დაკმაყოფილებული. საინტერესოა არაადაპტური სქემების როლი ქართულ პოპულაციაში, რადგან ეს სიახლეს წარმოადგენს ჩვენს კულტურაში.

მიზანი: კვლევის მიზანია გამოიკვეთოს რა გავლენას ახდენს ემოციური დეპრივაციისა და მიტოვება/არასტაბილურობის სქემები რომანტიკული ურთიერთობით კმაყოფილებაზე.

მეთოდი: რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 210-მა ადამიანმა, რომელთა შორის 168 იყო ქალი და 42 კი მამაკაცი. კვლევის ინსტრუმენტებია: იანგის სქემების კითხვარის გრძელი ფორმა (YSQ-L3) და ინტიმური ურთიერთობის შეფასების სკალა (RAS).

შედეგები: ემოციური დეპრივაციის სქემა და მიტოვება/არასტაბილურობის სქემა გავლენას ახდენს რომანტიკული ურთიერთობით კმაყოფილებაზე,
ორივე სქემა უარყოფით კორელაციაშია რომანტიკული ურთიერთობით კმაყოფილებასთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადრეული არაადაპტური სქემები, ემოციური დეპრივაციის სქემა, მიტოვება/არასტაბილურობის სქემა, რომანტიკული ურთიერთობით კმაყოფილება.

განსაკუთრებული მადლობა

კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ნატა მეფარიშვილს. ასევე, ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ჩემს კვლევაში მიიღო მონაწილეობა.